**2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებზე გადმოსვლის უფლების მქონე პირთათვის საუნივერსიტეტო რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის №27/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-17 მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძნებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის მე-7 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ნინო ჟვანიას 2012 წლის 20 იანვრის №03-566/12 სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2012 წლის 20 იანვრის №59 სხდომის ოქმის გათვალისწინებით,

**ვბრძანებ**

**1.** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესით საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებზე გადმოსვლის უფლების მქონე პირთათვის რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს 2012 წლის 16 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე (უნივერსიტეტის კანცელარია, მის. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზირი №3/5).

**2.** მობილობის უფლების მქონე პირებმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება რექტორის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ორი ფოტოსურათი და ელ.ვერსია ელექტრონულ მატარებელზე(CD);

დ) ცნობა უმაღლესი საგანმათლებლო დაწესებულებაში სწავლების შესახებ ფაკულტეტის, პროგრამის, სწავლის წლიური საფასურის ან/და გამოყოფილი სახელმწიფო გრანტის ოდენობის მითითებით, რომელიც გაცემული იქნება 2012 წლის 1 თებერვლიდან;

ე) ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის  დამადასტურებელი სერთიფიკატის დამოწმებული ასლი ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის;

ვ) ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი;

ზ) სოციალური გრანტის  ან დაფინანსების სხვა წყაროს არსებობის შემთხვევაში- შესაბამისი აქტის დამოწმებული ასლი;

თ) უმაღლესი საგანამანთლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის მიერ განვლილი სასწავლო კურსებისა და მიღებული შეფასებების შესახებ (ნიშნების ფურცელი);

ი) სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში- აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი;

კ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ლ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის ასლი დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის;

მ) უცხოეთში განათლებამიღებულ პირთათვის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების ან  ასეთი დოკუმენტის გაცემისთვის დაწყებული წარმოების შესახებ.

**3.** რეგისტრაციაგავლილ პირთათვის კრედიტების თავსებადობის დასკვნების გაცნობისა და შესაბამისად უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს **2012 წლის 21 თებერვლის 13:00 საათამდე.**

**4.** სწავლის გაგრძელების უფლების მქონე ის კანდიდატები, რომლებიც ამ ბრძანებით დადგენილ რეგისტრაციისა და ხელშეკრულების გაფორმების ვადებში არ გამოცხადდებიან უნივერსიტეტში, კარგავენ ჩარიცხვის უფლებას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**5.** სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტს დაევალოს, მიაწოდოს უნივერსიტეტის რექტორს 2012 წლის 21 თებერვლისა იმ პირთა სია, რომლებმაც ამ ბრძანების თანახმად გაიარეს რეგისტრაცია და გააფორმეს უნივერსიტეტთან ხელშეკრულება.

**6.** უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

**7.** დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

**8.** უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტმენტს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაცო ტექნოლოგიების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

**რექტორი** **გიგი თევზაძე**